



პირველი გემოსეა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა აქტიური დახმარება გაუწიეს მახარაძისა და ქობულეთის რაიონებს ჩაის კრეფაში.

- მართლა სამი ხუთიანი მიიღე, ცილა?
- აბა რა გეგონა, დღეისთვის 555 კილოგრამი მაქვს ჩაბარებული.

გეგმვის

„მალა ცაში ავფრინდები...“

ხალხურა

ქართველი ალბინისტები წელს მესამედ ესტუმრნენ პამირს. როგორც თვითონ ამბობენ, მანძილი საქართველოსა და პამირის მთიანეთს შორის საგრძნობლად შემცირდა; ეს იქნებ იმის ბრალია, რომ სატრანსპორტო ტექნიკა განვითარდა, ანდა იქნებ იმისა, რომ ერთი და იგივე გზაზე ხშირად სიარული თავისთავად ამოკლებს მანძილს. ასეთ თუ ისე, ქართველმა ალბინისტებმა პამირი საზაფხულო კურორტად აირჩიეს, დროზე სტოვებენ აღმურმოდებულ თბილისის ქუჩებს და მაღალმთიან სანატორიუმებში იკაჟებენ შრომით მოქანცულ სხეულს.

როგორც კი ჩვენი ალბინისტები პამირს მიუახლოვდნენ, ძველი მასპინძლები — სტალინის სახელობის პიკი, მოლოტოვის პიკი, „პრავდის“ მწვერვალი

და სხვები, რომელთაც წინასწარ გაეშალათ თეთრი სუფრები, სტუმართმოყვარეობის სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და თავთავისკენ მიიპატიჟეს ჩვენი ალბინისტები, არა ჩემთან ამობრძანდით და არა ჩემთანო. ქართველებს კი სტუმარმასპინძლობის წესებში აბა ვინ შეაყვინტა. „ჩვენი შარშანდელი უკმეხი სტუმრობაც ეყოფათ გასახსენებლად“, გაიფიქრეს და „მოსკოვის“ მწვერვალისაკენ აიღეს გზი.

გზა ამ მწვერვალისაკენ მეტად რთული და სახიფათო იყო. თუ თბილისიდან გამოგზავრებამდე ჩვენი ალბინისტები იმედოვნებდნენ — სულ ვირებზე ამხედრებულნი არხეინად მივალწვევთ დამხმარე ბანაკსო, ახლა თვითონ მოუხდათ ვირების ზიდვა ვიწრო ადგილებსა და მდინარეების გადასასვლელებზე. ვირებმა ეს პატივისცემა შეიფერეს და ისე გათამამდნენ, რომ თუკი სადმე ანკარა წყაროს წააწყდებოდა ექსპედიცია, პირველად თვითონ მივარდებოდნენ და ქათმორეულ ლაშებს ჩაჰყოფდნენ. ბოლოს და ბოლოს, ვირობასაც თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს! ერთმა ვირმა დახრჩობის ინსცენირებაც გაითამაშა: ვითომ ფეხი დაუცდა, მოდიდებულ ამღვრეულ მდინარეში წაიქცა და მთელი ბარგი-ბარხანით, პროდუქტებითა და ალბინისტთა აღჭურვილობით ტალღებს გაჰყვა. ბევრი უძახეს, ეხვეწნენ, დაბრუნდიო, მაგრამ მოგეხსენებათ ვი-

რომ დიდ ხელოვანთათვის გაეგოთ რამე. (კინოხელოვნების სიყვარული გვქონდა) ნახებს გავახსენოთ ოპერატორებს, რომ ამ მარცხის ანაზღაურება ადვილად შეიძლება — თბილისის კინოსტუდიის ეზოში უსაქმოდ დახეტიალობს „მაგდანას ლურჯას“ შემსრულებელი ვირი).

ამ შემთხვევის შემდეგ ბ. კრეპსკი მდინარის ყველაზე ატალღებულ ნაპირს ჩაუსაფრდა — იქნებ ღმერთმა ქნას და ნავტიკი გადაბრუნდესო. მართლაც, რა საინტერესო კინოკადრი იქნებოდა ალბინისტები რომ წყალში გადაცივდებოდნენ, მდინარე გაიტაცებდა და შეიძლება ზღვის დონიდან მინუს 7.000 მეტრის სიმაღლეზეც აღმოჩენილიყვნენ. მაგრამ, რადგან კინოოპერატორებს არავითარი პატივი არ უციათ ღმერთისთვის და მასზე ერთი კინონარკვევიც არ გადაუღიათ, უფალმა არ შეისმინა ბ. კრეპსის ვედრება.

მაღალი ჰაერი სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანზე. დიმიტრი ობოლადე შორს წავიდა ჯიხზე სანადიროდ, მაინცდამაინც იმ დროს, როდესაც ჯიხვი თვითონ მოვიდა კარვებთან. ავთანდილ ახვლედიანს ჩოჩორი დათვად მოეჩვენა, ვილაცამ კი ამ „დათვის“ მოსაკლავად წერაყინს წამოაველო ხელი. მაღალმა ჰაერმა იგორ ამასიისკის დევური მადა გაუღვიძა, მაგრამ თავსაც მოხდენილად იმართლებდა: „მეტვირთს ეუმსუბუქებ ამხანაგებსო“. ექვს ალბი-



ოცნება და...



სინამდვილე

რის ჯიუტობა. ექსპედიციის მემბრანებმა კი — კინოოპერატორებმა ბორის კრეპსმა და იგორ ამასიისკიმ, თავში ხელები შემოირტყეს — „ვაჰ, რა კადრი იყო და გადაღება ვერ მოვასწარიო“. როცა გონს მოვიდნენ, ექსპედიციის უფროს ოთარ გიგინეიშვილს და მის მოადგილეს ალექსი ივანიშვილს კარვის კალთები შემოახიეს, კიდევ ერთი ვირი ვუფეშქაშოთ მდინარესო, მაგრამ ექსპედიციის ხელმძღვანელებს არ აღმოაჩნდათ სათანადო ესთეტიკური აღზრდა,

ნისტზე კი ისე ძლიერად იმოქმედა მაღალმა ჰაერმა, რომ დაივიწყეს ყოველგვარი შიში, მიატოვეს ამხანაგები, მიატოვეს ბანაკი, გადაებნენ ერთმანეთს და ექვსი დღის შემდეგ, საშინელ ავდარში, დაიპყრეს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძნელესი მწვერვალი — „მოსკოვის“ პიკი.

რა ვუყოთ, რა მათი ბრალია, რომ მათზე ასე ძლიერად მოქმედებს მაღალი ჰაერი და მაღალი მთები!

მთაწმინდის დაგვირგობი

არიან ადამიანები, რომლებიც ჩუმად და მოთმინებით საქვეყნო საქმეს აკეთებენ. მინდა მათ შესახებ გელაპარაკოთ.

ვთქვათ, შეხვედით მაღაზიაში. შეხვედით? კეთილი. ახლა დაათვალიერეთ კედლები.

«მყიდველო, პატივი ეცი გამყიდველის შრომას». ლაღადებს ერთი წარწერა. თქვენ იტყვიან: ამის თქმა რად მინდა? არა, მეგობარო, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თუ წყენაა, შენზე მეტად

გამყიდველი უნდა იყოს ნაწყენი, რადგან იმას ზედ თავთან გაუტრეს მისივე მამხილებელი წარწერა:

«გამყიდველო, იყავი ზრდილობიანი». იქნებ თქვა, ეს წარწერა კი ნამდვილად საჭიროაო. ეჰ, მე თქვენი ვერაფერი გავიგე. ახლა ბაღში შებრძანდით.

«გაზონებზე ნუ ივლი», — თვალში მოგხვდება შესვლისთანავე. ახირებული კაცი ჩანხარ, იტყვი, გაზონებზე სიარული სულაც არ მიფიქრიაო. ეწეროს, რა გინდა! პირიქით, კარგი იქნება, თუ რამდენიმე უცხო ენაზეც გადავთარგმნით ამ ტექსტებს. ახლა ჩვენში ბევრი უცხოელი სტუმარი ჩამოდის და, რომ წაიკითხავს, თავის ქვეყანაში ჩაიტანს ამბავს, რომ გაზონებზე სიარული თურმე არ შეიძლება (ვინ იცის, იქ სულ გაზონებზე დადიან!), განსაკუთრებით სასიამოვნოდ მოქმედებს დამსვენებლის თავმოყვარეობაზე ასეთი გაფრთხილება:

«ნუ დაანაგვიანებ». ძალიან კარგი იქნება, თუ ბარკებსა და ბაღებში რადიოთი გადმოსცემენ ამგვარ დარიგებებს, ეს უთუოდ გამოიწვევს ესთეტიკურ ტკბობას.

ვის არ გიგრძენიათ სიცხეში ლუდით მიღებული სიამოვნება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, სტადიონის მზით გარუჯული, დიდხანს დაეძებ ლუდხანებში თუ კიოსკებში ლუდს. ვაჟვით მიაგენით. გამყიდველი ფრთხილად აკებს ჭიქას (რომ არ აქაფდეს), თქვენ კი ხელიდან ართმევთ სანახევროდ ავსილ ჭიქას. ამ დროს რომ ინსპექტორი შემოვიდეს, ხომ გამატყუნებს უცოდველ გამყიდველს? სწორედ ამიტომ თქვენს საყურადღებოდ, (როგორც ასეთი ინციდენტების მთავარი დამანაშავისა) გააკრეს:

«არ აიღოთ ლუდი ქაფის დაწმენდამდე».

კარგი მოგონებაა, არა?

არის ამის საწინააღმდეგოც. ზოგ გულუბრყვილო, შედარებით პატიოსან გამყიდველს თავისი თავი გამოუმჯდამებია ასეთი წარწერით:

«მოითხოვეთ ლუდის სრული ნორმა».

პირდაპირ ამბობს, რა გინდა! მოითხოვე და გაგივებს, არა და...

განსაკუთრებით მომწონს ყველა მაღაზიაში გაკრული წარწერა:

«მოითხოვეთ ხურდა და შეამოწმეთ იგი სალაროსთან». კეთილი რჩევაა. აბა ბიჭი ხარ და სალაროდან ერთი მეტრის იქით დათვალე ხურდა, და, თუ ცოტა აღმოჩნდა, ეჩვენე მოლარეს! ისე დაგიყვიროს, შენი დირექტორი გეგონოს!

ოღონდ აქ ერთი გაუმჯობესება უნდა შევიტანოთ: ყოველ სალაროს გაუკეთდეს დამხმარე კაბინა, ხურდა ფულის დასათვლელად, თორემ მოლარის ცხვირწინ თუ შენ ფულის დათვლა დაიწყე, რიგში მდგარი ვინმე დარბაისელი დედაკაცი (შეიძლება მამაკაციც) მოგაძახებს: «მოქალაქე, შენ გიყუროთ?»

თბილისში, ალბათ, ვერ ნახავთ დაწესებულებას, რომლის კედლებსაც არ ამშვენებდეს რუსულ-ქართული წარწერა:

«ნუ დააფურთხებთ!» (ბოდიში ამ სიტყვისათვის). ეს პირდაპირ აღმოჩნდა. გავამრავლოთ ასეთი წარწერები, ეს უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე სანაგვე ურნებისა თუ საფურთხებლების (კიდევ ბოდიში) დამზადება.

დასასრულ, მინდა რამდენიმე რაციონალური წინადადება წამოვიყენო.

ყველამ ზეპირად იცის ეს უწყინარი განცხადება:

«შეიძინეთ ბილეთები კონდუქტორის მოთხოვნამდე». მართალია, ზოგიერთი კონდუქტორი გადაჭარბებული ზრდილობით მოითხოვს ბილეთების შეძენას, როცა ჯერ კიბეზე ფეხიც არ აგიდამთ.

ეს არაფერი. იქნებ დაგავიწყდეს ბილეთის აღება? უმჯობესი იქნება ვაგონებს გარედან გავაკრათ:

«გაამზადეთ ფული ვაგონში ასვლამდე».

აქვე დაუვმატებ: ჯარიმების რაოდენობა ყველგან იქნას აღნიშნული. აგრეთვე, ავტობუსში უბილეთო მგზავრობისათვის ჯარიმა 5 მანეთი ძალზე ცოტაა. ამით მოქალაქეებს ვერ დავაშინებთ.


ჩვენს დედაქალაქში დღითი დღე მცირდება უბედური შემთხვევების რიცხვი. და იცით, რატომ? ქუჩებში ყველგან გააკრეს:

«მოქალაქეო! არ გადაურბინოთ წინ მანქანას. მისი უცებ გაჩერება ძალიან ძნელია». თან სურათი ერთის, უზალო ხელოვნებით შექმნილი. ამის შემდეგ აღარ მინახავს არც ერთი მოქალაქე, რომელიც მოძრავი ტრანსპორტის წინ მიმორბოდეს და ერთობოდეს. საწყალი მოფერი კი რა ხათაბალაში იყო ჩავარდნილი!

ტრამვაისა თუ ტროლეიბუსების ვაგონებში გაკეთდეს ასეთი წარწერები:

«ნუ დასხდებით იატაკზე, ისარგებლეთ სკამებით».

თბილისის ზღვისკენ მიმავალ ავტობუსებს გარედან გავაკრათ: «ფანჯრებიდან ნუ გადახტებით» (მოგესვენებათ, ამ ავტობუსებში ჩასხდომა წარმოებს ფანჯრებიდან, რადგან მას მხოლოდ ორი კარი აქვს). გავაკრათ ასეთი წარწერები და მორჩა! აღარ



იქნება საჭირო დამატებითი ავტობუსების გამოშვება და საათობით რიგში მდგარი, დასიცხული ხალხი დინჯად და აუღელვებლად შევა კარებიდან. წარწერები ნაკლებად არის გამოყენებული თეატრებში. კარგი იქნება დარბაზში გაიკრას ასეთი დარიგებანი:

«წარმოდგენის დროს უყურეთ სცენას, ძილი სასტიკად აკრძალულია!»

«მოქმედების დაწყების (ან შესაბამისად) შემდეგ დარბაზიდან გასვლა აკრძალულია».

სტადიონის მისადგომებთან, კინოსტუდიასთან და ბაზართან რომ გავაკეთოთ წარწერები: «ფეხბურთის ბილეთების მაღალ ფასებში გაყიდვა აკრძალულია» — როგორ ფიქრობთ, კიდევ იქნება სპეკულანტობა? არავითარ შემთხვევაში! ზოგი გულუბრყვილო კი ამბობს: თბილისელთა გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს პატარა სტადიონი. ეს სიცრუეა.

სტადიონმა გამახსენა: მატჩის წინ ხშირად ცხენზე ამხედრებული მილიციელები დაქროლავენ ხალხში. გავაკეთოთ წარწერები:

«მოერიდეთ ცხენს. მისი უცებ გაჩერება ძნელია». რა თქმა უნდა, მოერიდებიან, ცხენზე მეტი ჭკუა ხომ აქვთ!


სათქმელი ბევრია, მაგრამ ესეც კმარა.

ზოგმა შეიძლება შემნიშვნოს: ჩვენი ხალხის მაღალ შეგნებას ასეთი შეურაცხყოფელი წარწერებით ვლანძავთო! როგორ, ვინ არ იცის, რომ მანქანას წინ არ უნდა ურბინო, რომ მყიდველმა და გამყიდველმა ერთმანეთს არ უნდა ავინონ, რომ ნორმალური ჭკუის კაცი გაზონებზე არ ივლის, და ა. შ.

ვიცით, ამხანაგო, მაგრამ ეკიდოს ეს წარწერები, რა გენადლებათ?

პიკი „მოსკოვის“ ექსპედიციის უფროსი თ. გიგინეიშვილი „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრია.

მეგობრული შარუი ზ. ზირცხალავასი



— ჩქარა, ოთარ, სარედაქციო კოლეგიის ხსენებას შენს მოხვლამდე ვერ ვიწყებთ!
— ლიფტი არ მუშაობს, მაგ სიმაღლეზე რა ამომიყვანს!

მე ვიცნობ ორი სხვადასხვა ტიპის იუბილარს. ერთი მათგანი ცნობილი მსახიობია. განსაკუთრებული დამსახურებისათვის მას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. ხალხს უყვარს და აფასებს კიდევ. როცა ქუჩაში მიდის, მას ჯგუფ-ჯგუფად მიჰყვებიან ახალგაზრდები, შესცქერავენ ალტაცებული თვალებით.

— ვენაცვალე! — ჩურჩულებენ ისინი. აი, ის უკვე თავის ბინაშია. აქ მას ხუთი-ექვსი ქალი და კაცი ელოდება.

— დაუპატივებელი სტუმრები ვართ. პატივცემული მიხვილ, — სიცილით ამბობენ სტუმრები.

— დაბრძანდით, მეგობრებო, რით შემიძლია გემსახუროთ?

— ათი დღის შემდეგ თქვენ გისრულდებათ დაბადებიდან 50 და სასცენო მოღვაწეობიდან 30 წლისთავი. ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ გადასწყვიტა ზემოთ აღნიშნოს თქვენი ცხოვრების ეს შეაინიშნავი თარიღები, გადაგიხადოს თქვენ იუბილე.

მოღვაწეობამ და სიხარულმა ერთბაშად გადაირბინა მიხვილის სახეზე.

— რას ბრძანებთ, — ამბობს ის გრძობით, — მე, აბა, ისეთი რა გამიკეთებია ხალხისათვის, რომ ასეთ დიდ პატივსა მღებთ!.. არა, იუბილე მე ჯერ არ დანიშნავენ... ჩვენში ბევრია ჩემზე უფრო დამსახურებულიც და ღირსეულიც... თუ იუბილე აუცილებელია, მაშინ მე ვაყენებ ვასო ბერუაშვილის კანდიდატურას. ის ნამდვილად ღირსია...

მოდი, ნუ გავაგრძელებთ ნათ საუბარს.

...იუბილე გადაუხადეს. მაღლიერმა საზოგადოებამ დიდი ზემოთ აღნიშნა მიაი დაბადებიდან 50 და მოღვაწეობიდან 30 წლისთავი.

ახლა გიამბობთ მეორე იუბილარის თავდადასავალს. ისიც მსახიობია, და მას ჰქვია, ვთქვათ, სიბიტო სიბიტელაშვილი.

მისი იუბილე ასე დაიწყო. ერთ საღამოს მას ვაცხარებული საუბარი ჰქონდა თავის მეგობართან ტრიფონ ჯანგავაძესთან.

— ორმოცდაათი წელი მისრულდება მომავალ პარასკევს. ერთი იუბილე არ მეკუთვნის? ვის აქვს ჩემზე მეტი დამსახურება! — ლელავდა სიბიტო.

— მოღვაწეობიდან რამდენი შეგისრულდა?

— ორმოცდაათი ორმოცდაათი.

— რას ამბობ, 6 წლისამ დაიწვე სასცენო მოღვაწეობა?

— სწორედ მაგაშია ჩემი გენიალობა. 6 წლის ვიყავი, როცა დეზდემონას შეილის როლი შევასრულე „ოტელოში“.

— რას ბოდავ, დეზდემონა ხომ უშვილო იყო!

— სწორედ მაგაშია ჩემი გენიალობა. შემდეგ აგისხნი ყოველივეს... ჩაუდექი ახლა სათავეში ჩემს იუბილეს. დარაზე მაყურებლები, საიუბილეო კომისია შეადგინე. ფარდა რომ გაიხსნება, შემომაყარეთ და შემომაყარეთ პარტერიდან ყვავილები... ახლა იუბილე მოდაშია. დატრიალდი.

— მოხსენებას ვინ გააკეთებს?

— ვინ და შენ. მე თვითონ დაგიწერ მოხსენებას ჩემი მოღვაწეობის შესახებ.

— მაინც როგორ შეასრულე დეზდემონას შეილის როლი?

— საქმე ასე იყო: ჩვენ ვცხოვრობდით ერთ ქალაქში... დედაჩემი კარგი სცენისმოყვარე იყო. ადგილობრივმა დასმა დადგა „ოტელო“. მე მაშინ ვიყავი 6 წლისა. დედაჩემი თამაშობდა დეზდემონას. საერთოდ, როცა დედა თამაშობდა, მე და ჩემი უფროსი და კულისებში ვუცდიდით წარმოადგენის დამთავრებას. იმ საღამოსაც ასე იყო. სამი მოქმედების განმავლობაში მეძინა კულისებში. მეოთხე მოქმედების დროს გამეღვიძა და რას ვხედავ! ვილაქ შავ კაცს წაუჭერია ხელი ყელში დედაჩემისათვის და ახრჩობს. ვაი-მეთქი, შეგვივრე და გავქანდი სცენისაკენ. მივვარდი იმ შავ კაცს, დაეუშინე მუშტები ზურგში, შემდეგ დედაჩემს ჩავეხუტე მკერდში და სულ სტანისლავსკის სისტემით ვყვიროდი, თურმე, „დედიკო, დედიკო, დედიკო“-მეთქი. მეორე დღე დედაჩემი თეატრიდან მოხსნეს, მე კი, როგორც მხედვე, არტისტი გავხდი... წადი ახლა, დატრიალდი... ჰო, მოსალოცი დებეშები შეადგინე... იუბილე! იუბილე! აი, ეს მინდა მე დღეს!.. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. მოდი, რაც იქნება, იქნება, იუბილეზე დაფინანსების გვირგვინი დამადგოთ თავზე, ა, რას იტყვი?

— ეგ ადვილია.

— თუმცა არა, არ მინდა დაფინანსების გვირგვინი, დაიწყებენ მითქმა-მოთქმას. ყვავილების გვირგვინი იყოს. ესეც მეყოფა. მე თავმდაბალი კაცი ვარ... ვაი დედასა! ახლა ჩვენ კი არა, კულტურის მინისტრი უნდა ზრუნავდეს ჩემი იუბილესათვის, მაგრამ რას აზამ.

შედგა იუბილე. თეატრის საღამო არავის ჩაუღწვია. ბილეთები ძლივს გასაღდა საჩუქარო კოორპერაციის არტელებში. სიბიტო საეარძელში იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო, ხოლო თავზე ყვავილების გვირგვინი ედგა... მოხსენებას კითხულობდა ტრიფონ ჯანგავაძე.

„...დაბა, ასე ვახლა, ამხანაგებო, სიბიტო სიბიტელაშვილი არტისტი... პატივცემული შექსპირი რომ ცოცხალი იყოს, ის აუცილებლად შეიტანდა „ოტელოში“ დეზდემონას შეილის როლს, რადგან სიბიტო ბუნებრივად და სტანისლავსკის სისტემით გადაეხვია თავის დედას და იხსნა ის დახრჩობისაგან... (ტაში).“

(პარტერიდან შეაყარეს და შეაყარეს სიბიტოს ყვავილები, ხოლო სცენის მუშამ შემოიტანა და სიბიტოს წინ დადგა 4 დიდი თაიფული, მისივე სილედრის მიერ გამოგზავნილი).

...სიბიტოს დამსახურება და მისი ზეგარდმო მადლით ცხებული ტალანტი იმაში მდგომარეობს, ამხანაგებო, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ მას შეუძლია, ამხანაგებო, ყველანაირი როლის შესრულება, ამხანაგებო... მაგრამ, სამწუხაროდ, ამხანაგებო, მას როლებს იშვიათად აძლევენ. (ტაში). ვინ გყავს ჩვენ სიბიტოსთან მსახიობი? არავინ... (ტაში)...

(მომხსენებელმა პარტერში ვილაქას თვალით ანიშნა და იმ ვილაქამ კვლავ შენთაყარა და შემოაყარა სიბიტოს ყვავილები).

...მე პირადად, ამხანაგებო, — განაგრძობს მომხსენებელი, — ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ეპოქაში, რომელშიც მოღვაწეობს სიბიტო სიბიტელაშვილი, რომელიც რომ სტანისლავსკისეზური ირაციონალობით, ასე ვთქვათ, ვერბალური პრეტენპაციით და დიქციითა ვიბრაციით ასრულებს ხოლმე მისდამი რწმუნებულ როლებს. მაშ გუმარჯოს ჩვენს თავმდაბალ იუბილარს სიბიტო სიბიტელაშვილს!

გათავდა იუბილე. ხალხი დაიშალა. მალოლ ტრიფონ ჯანგავაძის მიერ ორგანიზებული მაყურებლები იღვნენ და ტაშს უკრავდნენ იუბილარს. ისინი აყრიდნენ და აყრიდნენ ყვავილებს ცხვირ-პირში სიბიტოს.

ბანკეტზე სიბიტომ განზე გაიხმო მომხსენებელი. — ტრიფონ ჯანგავაძე, გიტირებ ყოფას! — რა თავს იღებ, ბიჭო! — მოხსენებაში რალაც ამოვიშლია... რატომ არ თქვი სიბიტო ორდენის ღირსია-თქო?! რატომ არ თქვი, რომ მე ღირსი ვარ მქონდეს დამსახურებული არტისტის წოდება!

— მაღლობის მაგიერია? ამოდენა იუბილემ ჩემს ზურგზე გადაიარა. ან ტაშს ვინ დაგიკრავდა. ან ყვავილებს ვინ შემოგაყრიდა ცხვირ-პირში. მე რომ არ ვყოფილიყავი!.. ახლა თავი დამანებე თუ გიყვარდ, ამ ბანკეტს ნუ ჩამოშამებ, მოჰკიდებ ხელი ამ ყანწს... ეს გაუმარჯოს იუბილარს!.. ერთი პატარა ტკბილი მრავალმიწიერი წამომიწყეთ დაბალი ხმით, ცერკოვნი. ცერკოვნი!..

...და მესამე დილაზე ისმოდა სიბიტო სიბიტელაშვილის ბინიდან მრავალგაპიერი...

ერთი სიტყვით, იყო ტაშიც. ყვავილებიც, საჩუქრებიც. რაც ნთავარია, ბანკეტიც... მაგრამ იყო თუ არა ეს იუბილე, წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა.

8. ლიამა



— ალო, დირექტორი ხართ? მოხწავლევ ცქიფურიშვილი ავად არის, დღეს სკოლაში ვერ მოვა.



ასახეუ-ქაში

მოთხრობა

ხმელ-ხმელი კაცი იყო. კაფანდარა, წელში ოდნე მოხრილი და თმაშეთხლებული. მარჯვენა ლოყაზე ფართო ხალი აჯდა. ერთი შეხედვით, წელში გატეხილს ჰგავდა. ქუჩაში რომ დაინახავდი, გეგონებოდა, ვიღაცას ხელი ჩაუვლია ქაშარში და მთელი ძალ-ღონით ეწევა წინ, მაგრამ ქაშარის პატრონი არასგზობთ არ მიყვებაო.

ასე დადიოდა.

სანამ ეს კაცი აღმასკომის შიკრიკად იყო ლაშეში, მხედარს ეძახდნენ. მერედა რა მხედარი იყო აღმასკომის შიკრიკი! გზაზე გულდაგულ მიმავალი რომ სადმე ჩონჩოიკს დაინახავდა, ფეხაკრეფით გადაუხვევდა ბუჩქებში, ი მგლის არჩივი ცხენიც აქვე სადმე იქნებოდა. ყველაზე უფრო თავმჯდომარის ნაცისფერ ულაყს ერიდებოდა. მართლაც რომ სამგლე ცხენი იყო. სადღაც სადგურთან რომ დაიჭიხვინებდა, კველიშვილის ქასთან ქათმები ფრთებოდნენ.

შიკრიკს მე წინათაც ვიცნობდი და მახსოვს, ერთხელ სწორედ კველიშვილის ქასთან ჩამოიარა. ქასთან ხალხი იყო შეკრებილი. თავჩაქინდრულ შიკრიკს რომ თვალი დაღანდეს, ვიღაცამ დაიძახა:

— შეხედეთ, ჩან კაი-ში მოდის!

ჩან კაი-ში პირველად დაუძახეს იმ დღეს შიკრიკს, რომელიც ახლა უკვე სასამართლოს აღმასრულებელი იყო და მტრისას, ვის ქიშკართანაც გაივლიდა! წელზე ფართო ქაშარი შემოერთა, ვარსკვლავიანი, ვაპარილებულ აზიურებში მუხლებამდე ჩაფლულიყო.

— ვინა?—დაიძახა მან, როგორც კი ქას გაუსწორდა.

ერთი ჩვენებური კაცი გატეხილი ვედროთი სვამდა წყალს. წყალი თქრილით იღვრებოდა ქვიშაზე. ჩან კაი-შის შეკითხვა ოწინარივით დაცა მას თავზე.

— ვინა? ვინა ვარ მე?—გაიმეორა ჩან კაი-შიმ და გრძელი ხელები, აქამდე რომ ჩემის ყელუბამდე სწვდებოდა, ვარსკვლავიან ქაშარზე დაიწყო.

აბა ვინ გამოიდებდა თავს და პასუხს ვინ გასცემდა! უსიტყვოდ გავიძურწ-გამოვიძურწეთ, ჩან კაი-ში მარტო დავტოვეთ ქასთან. მართალი გითხრა, მისი ნაღვლილი სახელი არც მაშინ ვიცოდი. ვერც იმას ვეტყვით გადაწყვეტით, სხვებმა კი იცოდნენ?

— ეს ულვაში გამპარსეთ თუ თქვენ კიდევ ფეხი შემოდგათ ლაშეში! — მოგვძახა უკანადაც ჩან კაი-შიმ, სველ ქვიშას წკიპად შემოუარა, ქას მიადგა და აფთაქის წინ რომ ფეხსაცმლის მწმენდავი იჯდა, იმას დაუძახა:

— მოდი, ბიჭო, ამოიღე წყალი!

წყალი რომ დალია, „ბიჭს“ ვედრო და ჯაჭვი ჩამოახსნევინა, მეორე დღეს კი აბრა მიაკრა ქას: „აქ წყლის დაღვევა სატიკად აკრძალულია“.

— რა მოხდა, მკვდარი კატა ხომ არავის ჩაუგდია შიგ! — ამბობდნენ დაბაში სავაქროდ და სხვადასხვა საქმეზე ჩამოსული სოფელები, ის კი აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ჩან კაი-შის ბრძანება დაერღვია.

ბევრი რამ იყო აკრძალული ჩვენს პატარა დაბაში. რა გავწყობოდა! ხან ვის მოუვიდოდა აღმასრულებელი ფურცელი და ხან ვის. ზოგი მაშინვე იხდიდა ჯარიმას, ზოგი ჭინჭყლობდა, მაგრამ ვინ რას და როგორ შერებოდა, აღარ მახსოვს სწორედ, გუშინდელი არც მე ვახლავართ, აღარც ის მახსოვს, რატომ არ ვკითხვით, სადაც ჯერ არს, ჰქონდა თუ არა ყველაფერი ამის უფლება ჩან კაი-შის, რა ვიცი, რა ვიცი, ვედარ ვკითხვით კი...
იმ ხანებში ახალი წესი შემოვიდა—სახელის მაგივრად ხალხი ერთიმეორეს მამის სახელს ეძახდა. მაგალითად ასე: ანთიმოზოვიჩ-პატრონო, პატივემულო იაგოროვიჩ. დარისპანიჩ... ამ „ჩჩმა“ პირდაპირ სახელის ადგილი დაიკავა და თუ სწორედ ირით არ მიმართავდი, ეშხი აღარ ჰქონდა არაფერს. შინაუბრაში კიდევ ჰო, მაგრამ თუ უფროსი კაცი იყო...

ჩან კაი-შის მამას ვახანა ერქვა, უფრო სწორად „მოკლე ვახანა“. თავისი დღე და მოსწრება მაყალი ედგა სახლის წინ, ქუჩაში. მოხალული წაბლით ვაჭრობდა. უწყინარი კაცი იყო ვახანა, მებუხრე ყახარას ნტრედები ასხდებოდნენ თავზე.

ბევრი ფიქრი არ დაგვიკრებია, ავიღეთ და ვახანოვიჩად მოენათლეთ ჩვენი ჩან კაი-ში. პირველად იუკადრისა. მამამისის სახელი არ მოსწონდა, მაგრამ ვე როდი ვახლდათ მთავარი. ჰკვირანი კაცი იყო და „ჩჩის“ ფასი კარგად იცოდა.

— ვახანოვიჩ, — ეტყოდნენ ხოლმე ჩან კაი-შის. — ქვედა უბანში წყალი აღარ მოდის. თქვენ ხომ არ დაგიკეტიათ?

— აბა ვინ დაკეტავდა! — მიუგებდა ვახანოვიჩი და გრძელ ხელებს ვარსკვლავიან ქაშარზე დაიწყობდა. ამ დროს ის ჩემას აწმენდინებდა. ცალი ფეხი წითელ-ყვითელი საცხებით აპრელბებულ ყუთზე ედო.

— ბოდიში, ვახანოვიჩ, ჩვენ გვეგონა, ისე...

— შენ ცოტა... ახლა ეგ მაძეინე, რა გეგონათ და რა არ გეგონათ! ნუ მიღიტინებ, ბიჭო, ის ხომ არ გვინივარ! გაუსვი მაგრად ფეხსაცმლების მწმენდავს კისერში ჩასდიოდა ოფლი.

— ბოდიში... პატივემულო ვახანოვიჩ, ცოტა შემოაბრუნე, თუ შეიძლება... მაგრად ვერ გამისვია, გიყანყალებთ...


— უუ!




— თქვენ ვინ ბრძანდებით?
— მამაჩემი...

— ხავერდი წაუუსვა?
— ხომ არ გადაირიე, ბიჭო, შენ. პირველად მიწმენდ ჩემას?
— რა ვიცი. ვახანოვიჩ, იქნება...
— ჯარიმას გადავიხდით, ვახანოვიჩ, — ჩაეროდა ისევ მობინადრე, — თითო ვედრო წყალს ავიღებთ და მერე თუ გინდა, ისევ დაკეტე.
— მიღები გასინჯეთ, ყველა მთელია?
— გასინჯეთ, კი.
— აბა რატომ არ მოდის წყალი!
და ამით გამოირკვეოდა, რომ ვახანოვიჩს არც კი დასიზმრებია წყლის შეწყვეტა.
სიმკაცრემ და საზრიანობამ ვახანოვიჩს სახელი გაუგდო.
ჩვენს სარაიონო დაბა ლაშეში ერთი ოციოდე სოფელი შემოდიოდა და ამ ოც სოფელში ოც კომლსაც ვერ იპოვნიდით, ვახანოვიჩზე რომ არ ჩამოგდო სიტყვა. სუსხიანი კაცი იყო და იმიტომ. აბა რა, თანამდებობის პირი ქვეყანას ხომ არ წამოიჯენდა თავზე.
ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება. ავია თუ კარგაიო, ქალო, შენი ქმარიო — უთქვამს ვიღაცას და მართალიც არის. მე თუ რამეს ვიტყვი, ვიტყვი ჩემს დაბაზე, მაგრამ სხვისგან რომ ვადაბრუნებელი სიტყვა გავიგონო, მეწყინება სწორედ. ჰოდა, ხელზე ნურავინ დაიხვევს ახლა ამას და სალაპარაკოდ ნუ ვახდის.
დაბაში ვარ ერთ დღეს და... თიბათვე იყო. ვენახს ვწამლავდით. ვიღაცამ მოიტანა ამბავი, ვახანოვიჩი ცხენს გადმოუგდიაო. ღმერთო შეგცოდნე და, კინაღამ გამეღიმა, მაგრამ რა სინდის-ნამუსია, კაცის გლახა ამბავი გაიგო და...
მთელი დაბა ამზე ლაპარაკობდა. ზოგი ღლიცინებდა, ლაზლანდარობდა რალაცას, ზოგი სხვა ამბავი გამოეტანა.
მართალი გითხრა, შინ არ ვწვევივარ სანახავად, ისე შორიხლო აფუარ-ჩაფუარე სახლს. ხალხი ბევრი იყო. რაიკომის მდივნის ახალ მანქანასაც მოვკარი თვალი.
„ასე, ჩემო ვახანოვიჩ, — ფიქრობ ჩემთვის, — ცხენი თივის საზიდავდაც აღარა გვყავს სოფელში, თივასაც მანქანით ვეზიდებით, შენ კი სადღა იშოვ: შე უბედურო... ნამდვილად წერა ყოფილა...“
სამი დღეც აღარ უტოცხლია ბედდამწვარს. დასაფლავების წინა დღეს ახლობლებმა მოვიყარეთ თავი და სამგლოვიარო განცხადება შევადგინეთ. ჩამოვწერეთ ეს, ის, ვინც ცხენდარს დავტრობდით, და მაშინ კი მოგვავიგონდა, რაც აქამდე აზრადაც არ მოგვსვლია. სახელი რომ არ ვიცოდით ვახანოვიჩის? მიცვალბულის სახელი ხომ უნდა მოგვეხსენებინა განცხადებაში!
მთელი დაბა შევაწვრიალეთ. კაცი არ იყო, რომ მისი სახელი ცოდნოდა. ყველა ერთსა და იგივეს გაიძახობდა, ვახანოვიჩი და ვახანოვიჩიო. სხვა რაღა გზა აყო! მივადექით ქირისუფალს, თავათ ვახანას ვკითხვით, მაგრამ საწყალი მოხუცი ისე იყო გავგებული და არეულ-ღარეული, პასუხად რალაცას ვებუტბუტებოდა, მგონი ცეცხლს გვთხოვდა, მაყალი ჩამიქრობო.
გული დაგვეწყა. არ იყო გულდასაწყვეტი? ეს სახელოვანი კაცი ასე უსახელოდ უნდა დაგვემარხა. ასე მოხდა მაინც.
ვახანოვიჩს ბიჭი დარჩა ერთი, ბონდო. წელს ამთავრებს საშუალოს. გაისად უმაღლესში წასვლას ეპირება. მამის სახელი არა აქვს საწყალ ბონდოს, ვახანოვიჩის-ძეს ხომ არ ჩასწვრენ ატესტატში, რანაირი ქართულია!
რა ეშველება, ჰა?

ჩვენს ჯაფარიძე





სიძუწეა



(იაპონური ზღაპარი) **კრიკინული**

იყო და არა იყო-რა, იყო რაღაცეა...
წი მეზობელი. ერთხელ, ერთმა მეორეს
მსახური გაუზავნა: ჩაქუჩი მათხოვეო.
მოვიდა მსახური და თხოვა ჩაქუჩი.
მეზობელმა ჰკითხა:

— რკინის ლურსმნები უნდა ჩააქე-
ლო თუ ხისა?

— რკინისა,—მიუგო მსახურმა.

— ა-ა, რკინისა?...—გაიმეორა მეზო-
ბელმა, თავი მოიქეცა და განაგრძო: —
ასე უთხარი, დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგ-
რამ ჩაქუჩი შინ არა მაქვს, ჩემს ძმას
ვათხოვე-თქო.

მოვიდა მსახური შინ და პატრონს
ყველაფერი უამბო.

— სადამდე მიდის ადამიანის სი-
ძუნწე!—აღშფოთებით წამოიძახა მან.—
დარწმუნებული ვარ, დაენანა თავისი ჩა-
ქუჩი. რას იზამ, ისევ ჩემი ჩაქუჩი უნდა
ვიხმარო!

მოყვარულის მოკვამნი

აი, ამ შტამპიან და მრგვალებქდიან
ცარიელ ბლანკს შეუძლია „ბედსა გწი-
ოთ“. მას შეუძლია სულ გაურჯელად
ტონობით კარაქი, ყველი, დო და მის-
თანა პროდუქტები მოგართვათ მანქა-
ნით. (შეიძლება ურმითაც!) თუკი...
თუკი თქვენ მოისურვებთ, უფრო სწო-
რად, თუ იკადრებთ შეადგინოთ სათა-
ნადო მოთხოვნის ტექსტი, სათანადოდ
გაკრული ხელი მოაწეროთ და სათანა-
დო პირთან გაატანოთ სათანადო პირს.

უარს ვინ შეგბედავთ? რაო, ბეჭედი
აკლია, შტამპი აკლია, ცარიელი არე
ტექსტს ვერ დაიტევს, ზემოდასახე-
ლებული ქარხნის დოკუმბაა დირექტო-
რი პატივცემული ალაი ასლანის-ძე ნავ-
რუზოვი შეგამჩნევთ ეშმაკობას?

— რატომო, კითხულობთ? სულ უბ-
რალოდ: თუ პატივცემული ნავრუზოვი
ვერ ამჩნევს, როგორ თესავს გზაზე მის-
თვის ჩაბარებულ სახელმწიფო დიდი
მნიშვნელობის დოკუმენტს, თუ ვერ უვ-
ლის ამ გამზადებულ ქაღალდს, თქვენს
განზრახვას როგორღა შეამჩნევს?

ცნობისმოყვარე კაცს შეიძლება ასე-
თი სამართლიანი კითხვაც დაებადოს: —
აღნიშნული ქარხანა ბოლნისშია, მისი
დოკუმენტები თბილისის ქუჩებში იფან-
ტება: ვის მიერ და რატომო?

ამ ცნობისმოყვარეობას, ალბათ, საქ.
სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების
მრეწველობის სამინისტროში გამოი-
ჩენენ.

უჩინმაჩინი

— რა მოუვიდა, რა-
ტომ ვარდება წყალში?
— დისერტაცია ჩაუგდეს.

ნახ. ნ. შალაზონაისი



— რამ დააღონა ჩვენი თავმჯდომარე?
— უხვმა მოსავალმა.

მუხსუნა აბიტიმეტიკა

(ტრაგი-კომედია IV მოქმედებად)

მოქმედება I (მიმართება)

ვაჟი: შენ ჩემი ცეცხლოვანი სიყვარულის მაცივარი ხარ!

ქალი: შენს იქით გზა არ მაქვს, ჩემო წითელო სვეტაფორო!

ვაჟი: შენ ჩემი ღარიბი სულის გამდიდრება ხარ!

ქალი: შენ...

მმაჩის თანამშრომელი: საკმარისია, მოაწერეთ ხელი, გისურვებთ, თქვენი სახით, კიდევ ერთი მტკიცე ოჯახი მიმართბოდეს ჩვენს ქალაქს! (ქალი და ვაჟი ხელს აწერენ ქორწინების მოწმობას და გადიან).

მოქმედება II (გამოკლება)

ქალი: რას ამბობდი, ვაჟბატონო? ღარიბი ვარო?

ვაჟი: ჰო, მე ღარიბი ვარ უშენოდ, შენ ჩემი...

ქალი: არ აგიდგეს გვერდები, ღარიბ კაცს არ გამოგყვე, ახლავე, ახლავე უნდა გავეყაროთ ერთმანეთს!

ვაჟი: რა მოგეჩვენა, შე ქალო?

ქალი: შენ მოგეჩვენა და მოგებლანდა ფეხებში სიკვდილი, ახლავე უნდა გავეყაროთ-მეთქი!

ვაჟი: ერთბაშად გული არ გადამიქანო, ჭირთან გაყრა რომ ჯობს, მაგას შენ ვერ მასწაველი.

მოქმედება III (გაყოფა)

ქალი: რა გიყრია სახლში?

ვაჟი: რა უნდა მეყაროს?

ქალი: რა გაქვს-მეთქი, გვეითხები, სკამის ფეხი რომ სკამის ფეხია, იმას არ გაგატან ზედმეტს, უნდა გავიყოთ!

ვაჟი: (შემკრთალი) რა მაქვს, გენაცვალე, გასაყოფი, რალაც შკაფი-მაფი, სარკე-მარკე, სტოლი-მოლი... რა სალაპარაკოა.

ქალი: ჰოდა, ასე: შკაფი — მე, მაფი — შენ,



საქმეზე თავდაღებული

სარკე — მე, მარკე — შენ, სტოლი — მე, მოლი — შენ. გასაგებია?

მოქმედება IV (გამარბლება)

მმაჩის თანამშრომელი: და დღითი დღე მრავლდება მსგავსი შემთხვევები ჩვენს ქალაქში. მან წაძმარტებით შესცვალა შთამომავლობის გარავილების მოძველებული თეორია.

მ. მარაიძე

ქარაგმული ნაკვესები

1. აბითურიენტი ტოლსტოის და ჩეხოვის არ იცნობდა, სამაგიეროდ ინსტიტუტის დირექტორს კარგად იცნობდაო.
2. სპექტაკლის სიკეთე თეატრის სალაროსთან გამოჩნდებოა.
3. სახელმძღვანელო შეცდომებით იყო სავსე, ავტორმა თავი იმართლა — შეცდომებზე ვსწავლობთო.
4. მოსწავლემ ორიანი მიილო — მასწავლებელმა კი უკანასკნელი გაფრთხილებოა...
5. თუ გული გულობს... შაბათ სალამოს ფუნიკულორზე ასვლაც კი შეიძლებაო.
6. მსახიობი სცენიდან გავიდა — მაყურებლებმა კულტურულად დაისვენესო...
7. თუ რომ გინდოდეს ჭირო... საბინაო სამმართველოს შენი ბინის რემონტი დააწყებინეო...

შეკრიბეს ბ. ჭვარაძემ და ბ. ფანჯიკიძემ



— რას აკეთებ, იპოლიტე?
— აგერ ჩემს დირექტორს ბუზებს ვუგერიებ.



— რას იტყვი, კარგად გავშავდი?


რედაქტორი — ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.


საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нианги». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 12. ტელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 19, ხელმოწ. დასაბ. 18/X-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეევ. № 1220. უფ. 0770. ტირ. 25.000.



აქამდე ორი ახი მოქმედებდა



რეცხვას იყრი სთყვი ვაჭრე